# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 15 ოქტომბერი 2004 №240 (2261) ფასი 50 თეთრი


# ქირესის ჟურნალისტური დებიუტი

## ჯერ მხოლოდ სათაური: რატომ არ ჰყავს შევჩენკო საქართველოს?



... ამ მატჩში ჩვენ რამდენიმე ყვითელი ბარათი მოგვცეს, უკრაინელებს კი არცერთი.

მოკლედ, მსაჯობა მთლად სუფთა არ იყო ჩვენს მიმართ. მაგალითად, ასათიანმა ბურთი ხაზზე გააჩერა და აუტი მეტოქის სასარგებლოდ დაინიშნა, შევჩენკომ კი ბურთი ხაზს იქიდან შემოატრიალა და არაფერი. ამის შემხედვარე მეოთხე მსაჯთან მივედი და ვუთხარი: ეს იმიტომ კეთდება, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა? მან მხოლოდ ის მიპასუხა, თქვენს ადგილზე დაბრძანდითო.

## პატარა ფრანგი პატარა საქართველოს გამოექომაგა



*კობა ინასარიძე ლვოვიდან*

## ყველაზე კარგი დასაყოლებელი ას გრამზე: სამი ქულა

„ყველამ თავის გულში ჩაიხედოს, ერთმანეთს თვალი გავუსწოროთ და ვთქვათ, უკრაინა გუშინ მოგებას არ იმსახურებდა. ქართველებმა ჩვენებს აჯობეს, მაგრამ მათ არ გაუმართლათ. ფორტუნა აშკარად მასპინძლებისკენ იყო" – წერს ლვოვის გაზეთი „ვისოკი ზამოკი" – ვერ გაგვიგია, საქართველო დაამარცხა გუშინ უკრაინამ, თუ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. სამი ქულა, რა თქმა უნდა, მშვენიერია, მაგრამ ჩვენების თამაშის ხარისხი ვერაფრით იქნება დამაკმაყოფილებელი. ჩანს, ეს ბლოხინისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია".

დაისვენეს, პლაჟებზე ინებივრეს, ქალებში გაიარეს, ფული დაფანტეს და ახლა იმ საქმისთვის ამზადებენ ხელფეხს, რაც ყველაზე და ყველაფერზე კარგად ეხერხებათ — ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 400-კაციანი ბატალიონი ნახევარწლიანი ომის წინ დევიდ შტერნის ბუკ-ნალარამ შეჰყარა. ხომ არ დაგავიწყდათ, ამ 400-ში 3 ქართველია. რეგულარული ჩემპიონატი 2 ნოემბერს იწყება, მანამდე კი ნბა საგამოფენო მატჩებში ხურდება.

სხვადასხვაგვარად ეგებება სეზონს სამი ჩვენებური — ვლადიმერ სტეფანია მუხლს წამლობს, ნიკა ცქიტიშვილი „დენვერიდან" გაქცევას ლამობს, ზაზა ფაჩულია კი თამაშობს, თან არცთუ ურიგოდ. ამ ზაფხულს „ორლანდო მეჯიქიდან" „მილუოკი ბაქსში" გადასულმა ფაჩულიამ 13 ოქტომბერს პირველად მოირგო „ხარირმების" 27-ნომრიანი მაისურა და გოროზი კევინ გარნეტის „მინესოტას" 22 წუთში 16 ქულა ჩაუგდო და 6 ბურთი მოუხსნა.

ფაჩულია ამ დილით ცქიტიშვილის „დენვერისთვისაც" იგივეს გაკეთებას ეცდება.



# ზაზა, ხარ ირემი?

## ფაჩულიამ გარნეტს 16 ქულა ურჩინა

# ვუსმინოთ და ვუყუროთ საქართველოს! პატივისცემით, უკრაინა

## ყველაზე კარგი დასაყოლებელი ას გრამზე: სამი ქულა



კობა ინასარიძე
ლვოვიდან

გუშინწინდელი მატჩის დამთავრებისთანავე დაწყებული ზეიმი კიდევ გრძელდება და ამ ყველაფერს ისეთი პირი უჩანს, კარგა ხანსაც გაგრძელდება.

ლვოვის ცენტრში, სადაც, სხვათა შორის, ერთ-ერთი ქუჩა რუსთაველის სახელობისაა, მოძრაობა გუშინ მთელი დღე გადაკეტილი იყო. გამოფენილი ეროვნული დროშები, სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე მომღერლებს უბრალო ქომაგები ენაცვლებოდნენ და ერთმანეთს სანაკრებო წარმატებას ულოცავდნენ. გათოშილთათვის ერთადერთი საშველი ხომ ალკოჰოლია და მით უმეტეს, როცა მიზეზი, იცოცხლეთ, იყო, ჰოდა, ლვოვში ფხიზელი კაციშვილი არ დარჩენილა.

— ჩვენ ძალიან ძლიერ გუნდს მოვუგეთ. მერე რა, რომ უკრაინის ნაკრებს ლამაზად თამაში არ გამოუვიდა, სამაგიეროდ, სამი ქულა ავიღეთ — ამ სიტყვებს იმეორებს ყოველი მეორე ლვოველი და ზედაც ას გრამს აყოლებს ხოლმე.

„ლვოვი — ფავორიტი ქალაქი უკრაინის ნაკრებისთვის“ — ასე ასათაურებს უკრაინა — საქართველოს მატჩის მიმოხილვას ყველაზე დიდტირაჟიანი ლვოვური გაზეთი „ვისოკი ზამოკ“

„ყველამ თავის გულში ჩაიხედოს, ერთმანეთს თვალი გავუსწოროთ და ვთქვათ, უკრაინა გუშინ მოგებას არ იმსახურებდა. ქართველებმა ჩვენებს აჯობეს, მაგრამ მათ არ გაუმართლათ. ფორტუნა აშკარად მასპინძლებისკენ იყო“ — წერს ჟურნალისტი და იქვე კბილსაც გაჰკრავს უკრაინელთა თავკაც ოლეგ ბლოხინს, რომლის ზედმეტი თავდაჯერებულობა, გნებავთ, ამპარტავნობა, ჩვენი აქაური კოლეგებისთვის ძალიან გამაღიზიანებელია. „საკვირველია, რატომ იქცევა ასე ბლოხინი, ვერ გაგვიგია, საქართველო დაამარცხა გუშინ უკრაინამ, თუ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. სამი ქულა, რა თქმა უნდა, მშვენიერია, მაგრამ ჩვენების თამაშის ხარისხი ვერაფრით იქნება დამაკმაყოფილებელი. ჩანს, ეს ბლოხინისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია“.

საერთოდ კი, ლვოვში, ეტყობა, ბლოხინი მაინცდამაინც დიდი ავტორიტეტით ვერ სარგებლობს. რატომ? — მას თავი ძალიან მაგარი მწვრთნელი ჰგონია. ამ დროს კი უკრაინაში მასზე გაცილებით მცოდნე სპეციალისტები არიან — მითხრა გუშინ კოლეგა მიხაილ რომანიაკმა და დასძინა, ნაკრებს ფეხი ოდნავ მაინც თუ დაუცდა, დარწმუნებული ვარ, ხალხი მას არ აპატიებს და გადადგომას მოითხოვს, თუმც ბლოხინი ფედერაციის თავკაცის გრიგორი სურკისის ფავორიტიაო.

ისე, რაკი სურკისი ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პატივცემული პრეზიდენტი, ეტყობა, ძალიან დაშინებულია. ლვოვში, მაგალითად, მის შეჯავშნულ „მერსედესს“ ისეთი ესკორტი ახლდა, კაცს ქვეყნის პრეზიდენტი ეგონებოდა. ერთ-ერთ რესტორანში, სადაც მატჩამდე ვისადილეთ, სურკისს ოცამდე თანხმლები შემოჰყვა და რესტორანიც დაიხურა. მხოლოდ ჩვენ, ქართველი ჟურნალისტები და სურკისის ამალა იყო რესტორნის კლიენტურა.

თუმც ფედერაციის პრეზიდენტზე აქაურები მაინც ლმობიერად ლაპარაკობენ და ამბობენ, რომ უკრაინის ფეხბურთი დღითიდღე რომ ძლიერდება, სწორედ ამ კაცის დამსახურებააო. მას მოუწონეს ის არჩევანიც, თამაში ლვოვში რომ ჩატარდა. ფედერაციაში თურმე ბევრი იყო წინააღმდეგი, ნაკრებს ქართველებისთვის ლვოვში ემასპინძლა, თუმც სურკისმა თავისი გაიტანა.

გაიტანა და არც შეცდა. ანშლაგი სტადიონზე, ეროვნული დროშის ფერი ტრიბუნა, მონატრებული ნაკრები და ხალხისგან ისეთი მხარდაჭერა, უკრაინას* რომ არ ახსოვს. სურკისმა ლვოველებს მატჩამდე ორი მინი-მოედანი აჩუქა. ფეხბურთის რეგიონულ ფედერაციას კი 15 ათასი დოლარით შეეწია.

და ერთხელაც აღვნიშნოთ ლვოველების და საერთოდ უკრაინელების ქართველებისადმი პატივისცემა. თუნდაც ეს ფაქტი რად ღირს: როცა მატჩამდე საქართველოს ჰიმნი აჟღერდა, მაშინვე შეწყდა უკრაინის 30 ათასი დროშის ფრიალი. ლურჯ-ყვითელი ეროვნული სიმბოლო ყველა ქომაგმა დაუშვა და განაბული უსმენდა ჩვენს ჰიმნს. იყო სამარისებური სიჩუმე — თქვენ ჩვენი მეგობრები ხართ — უსიტყვოდ თქვა „უკრაინამ“. მერე წამში აგუგუნდა ლვოვის სტადიონი, გადასხვაფერდა და აბსოლუტურად ყველამ უკრაინის ჰიმნი იმღერა. ესეცაა, სარეკლამო დაფაზე ტექსტის სიტყვები „დადიოდა“ და ქომაგიც მელოდიას ხმას უწყობდა. ჩვენთან ასე როდის იქნება?



...თუმც, რაც ჩვენთან იყო, აქაც იყო. შესვენებაზე სტადიონზე შუქი ჩაქრა და მოედანზე იმპროვიზებული კონცერტიც ოთხი წუთით შეწყდა.

აი, ცოტ-ცოტა ლვოვური ამბები, დანარჩენიც ხვალ-ზეგისთვის იყოს. ლვოვი ზეიმობს, ქუჩები გადაკეტილია და ცოტა თუ არ ვიჩქარე, აქ დარჩენა მომიწევს...

**კობა ინასარიძე**

# როცა წააგებ, შენც ნული ხარ და გუნდიც

ანდრეი შევჩენკომ საქართველოს ნაკრებს გოლი კი გაუტანა, მაგრამ ყველამ ნახა, თუ როგორ ითამაშა მის წინააღმდეგ რეინჯერსელმა ზურაბ ხიზანიშვილმა, როგორ ართმევდა ბურთს „შევას“, როგორ თიშავდა მას თამაშიდან, როგორ თავდაჯერებულად მოქმედებდა დაცვაში და თუ რა კლასის ფეხბურთელია ხიზანიშვილი. გუშინ მას გლაზგოში დავურეკეთ




— როგორ ფიქრობ, რისი ბრალი იყო კარგად ნათამაშევი მატჩის წაგება უკრაინასთან?

— კარგი თამაშით ხან მოიგებ, ხან ვერა. ჩვენ ვერ გამოვიყენეთ ისეთი საგოლე მომენტები, როგორიც უკრაინელებს არ ჰქონიათ. პირველი ბურთი კი უკრაინელებმა, როგორც იტყვიან, სულაც ზღაპარში გაგვიტანეს. ამ მარცხს იმას ვერ დავაბრალებთ, რომ ჩვენ მონდომებულები არ ვიყავით. პატარ-პატარა ნიუანსების გამო წავაგეთ, ამ მარცხს კონკრეტულად ვერცერთ ფეხბურთელს ვერ დავაბრალებთ.

— შენ უშუალოდ შევჩენკოს წინააღმდეგ გიწევდა თამაში...

— მატჩის წინ მიხაროდა, რომ შევჩენკოს წინააღმდეგ მიწევდა თამაში — ეს ალბათ ყველა მცველს უხარია. თუმც, მეორე მხრივ, ვნერვიულობდი — შევჩენკო თითქმის ყველა გუნდთან შეუჩერებელია და ძალიან არ მინდოდა, რომ ეს ჩვენთანაც გამოსვლოდა. ისე, ჟირესს მისი პერსონალურად მეურვეობა არ დაუვალებია, მაგრამ შევჩენკო მეტწილად ჩემს ზონაში თამაშობდა.

— და საკუთარი თავით კმაყოფილი დარჩი?

— წავაგეთ და შევჩენკოს გოლი რომც არ გაეტანა, ჩემი და ჩვენი ნაკრების თამაში ფაქტობრივად ნული იყო. ერთი სიტყვით, შევჩენკოს წინააღმდეგ თამაში ჩემთვის მნიშვნელოვანი კი იყო, მაგრამ მარცხის გამო კმაყოფილი ვერანაირად ვერ ვიქნები.

— შენს წინააღმდეგ თამაშისას შევჩენკო საფეხბურთო ეშმაკობებს არ მიმართავდა ხოლმე?

— შევჩენკო ბინძური ფეხბურთელი არაა, რაც ზოგიერთ სახელგანთქმულ მოთამაშეს ახასიათებს. თუმც ჩვენი საჯარიმოს მისადგომებთან სულ ცდილობდა ჯარიმის აკიდებას. იყო მომენტი, ფეხი რომ გამომეწია, პენალტზე წავიდოდა — ამას ვგრძნობდი. მოკლედ, შევჩენკომ საფეხბურთო ენა ძალიან კარგად იცის.

**დავით თაგართქილაძე**

### შვედეთი

თასის მეოთხედფინალი

ნორჩიოპინგი 0:1 იურგორდენი

### ირლანდია

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

დერი სიტი 1:0 დროჰედა

# რაც ბლოხინს აპატიეს, მე არ მაპატიებდნენ

ალენ ჟირესი უკრაინიდან თბილისში დაბრუნდა, პრესკონფერენცია გამართა და უკრაინა — საქართველოს მატჩის გერმანელი მსაჯებიც გაკენწლა. მუსიე ჟირესს არბიტრ ვოლფგანგ შტარკის გვარ-სახელი არ უხსენებია, მაგრამ ამ შემთხვევაში იდენტიფიკაცია მნიშვნელოვანი ალბათ არც იყო. ჟირესმა სხვა რამ ყურადსაღებიც თქვა და გუშინდელ მწვრთნელ-ჟურნალისტების ლონისძიებასაც რიგითი და ჩვეულებრივი არ უნდა ეთქმოდეს...



## ჟირესმა მსაჯები ქუსლითაც აკენწლა და ასათიანზე აზრი შეიცვალა

— მთავარი შედეგია და ამ წაგებამ მეც და ფეხბურთელებსაც გული დაგვწყვიტა. ჩვენმა ბიჭებმა კარგად ითამაშეს, თუმც ფეხბურთში ხანდახან ისეც ხდება, რომ კარგად თამაშობ და მარცხდები. ჩვენმა ფეხბურთელებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც საჭირო იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, უგოლოდ.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ საქართველოს ნაკრებს ტიპიური გოლეადორი ფორვარდი აკლია?**

— საქმე ამაში არაა, უბრალოდ, ჩვენ გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ. მატჩის ვიდეოჩანაწერს უნდა ვუყურო, რათა კარგად გავაანალიზო, სად დავუშვით შეცდომა. ისე, უკრაინელთა მეკარე ბედნიერი უნდა იყოს, რომ ასათიანის დარტყმული ბურთი ზუსტად იქ მოხვდა, სადაც ხელი აიქნია. ქართველი ჟურნალისტები კი ალბათ გაზეთებში დაწერთ ასეთ სათაურს: რატომ არ ჰყავს შევჩენკო საქართველოს?

**— გიორგი დემეტრაძე ადრევე რატომ არ შეუშვით მოედანზე?**

— მას საზარდული აწუხებდა, მატჩს სრულად ვერ ითამაშებდა და ჩვენც არ გვინდოდა, რომ ტრავმა გართულებოდა.

**— მსაჯობამ რამდენად იმოქმედა მატჩის შედეგზე?**

— მსაჯმა თამაში შეცვალაო, ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ პატარა დეტალები დიდ უსამართლობად იქცევა ხოლმე. როცა გუნდი მსაჯის სიმპათიას გრძნობს, უფრო თამამად თამაშობს, მეტოქეს კი ნერვები აწყდება. ამ მატჩში ჩვენ რამდენიმე ყვითელი ბარათი მოგვცეს, უკრაინელებს კი არცერთი. მოკლედ, მსაჯობა მთლად სუფთა არ იყო ჩვენს მიმართ. მაგალითად, ასათიანმა ბურთი ხაზზე გააჩერა და აუტი მეტოქის სასარგებლოდ დაინიშნა, შევჩენკომ კი ბურთი ხაზს იქიდან შემოატრიალა და არაფერი. ამის შემხედვარე მეოთხე მსაჯთან მივედი და ვუთხარი: ეს იმიტომ კეთდება, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა? მან მხოლოდ ის მიპასუხა, თქვენს ადგილზე დაბრძანდითო. კიდევ ერთ ეპიზოდზე უნდა ვთქვა, რომელიც ტელევიზიით გამოჩნდა თუ არა, არ ვიცი — უკრაინელთა მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი მოედანზე შევარდა, რაღაცით უკმაყოფილომ ბურთს ფეხი დაარტყა და ბურთი მსაჯისკენ წავიდა. მე რომ იგივე გამეკეთებინა, დარწმუნებული ვარ, მოედანს დამატოვებინებდნენ. საკმაო გამოცდილება მაქვს და ვიცი, რასაც ვლაპარაკობ. ბოლოს და ბოლოს, პლატინის მხარდამხარ ვთამაშობდი და ვიცი, რა არის მსაჯის სიმპათია.

**— მიგაჩნიათ, რომ მსაჯი მოქრთამული იყო?**

— არ მინდა, ეს დავიჯერო, მაგრამ უკრაინა დიდი ქვეყანაა და შინ თამაშობდა. ახალგაზრდულების მატჩზე გვერდითმა მსაჯმა ალამი აწია, თამაშგარე დააფიქსირა, მაგრამ არბიტრმა თამაში არ გააჩერა და უკრაინელებმა გოლი გაიტანეს. ასეთ დონეზეცაა შესაძლებელი ის, რომ პატარა ქვეყანა დაჩაგრონ.

**— უკრაინასთან გოლი ვერ გავიტანეთ და არ აპირებთ, რომ ნაკრებში სხვა ფორვარდებს უხმოთ, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეებს?**

— იმ ფორვარდების შესაძლებლობებს, ვისაც ნაკრებში ვიძახებ, კარგად ვიცნობ და მათ ვეყრდნობი. ახალი თავდამსხმელების ერთ-ორ დღეში მოძებნა კი ძალიან ძნელია. საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფორვარდების შესაძლებლობები ვიცი და ისინი ნაკრების დონეს ვერ დააკმაყოფილებენ. და საერთოდ, გოლის ვერგატანას მხოლოდ ფორვარდებს ვერ დავაბრალებ, შესაძლოა, ბოლო პასი ვერ შევასრულეთ კარგად, ბედიც არ გვწყალობდა. თუმც უკრაინასთან წავაგეთ და პრეტენზიების გამოთქმა მართლაც შეგიძლიათ. ნამატჩევს კი ბლოხინმა თქვა, ძალიან ბედნიერი ვარ, ასეთ გუნდთან რომ მოვიგეთო. უკრაინა ჩვენ ვაიძულეთ, კონტრშეტევებზე ეთამაშა, პირველ ტაიმში დაცვის გასაძლიერებლად უკრაინელებმა ისეთი შეცვლა გააკეთეს, რომ ერთი ფორვარდიც კი მოხსნეს. ძალისმიერ ორთაბრძოლებშიც არაფერი დაგვითმია მეტოქისთვის და გააზრებულადაც ვითამაშეთ.

**— ადრე ამბობდით, ასათიანი უფრო დაცვითი ტიპის ნახევარმცველია, ვიდრე შემტევიო — უკრაინასთან მატჩის შემდეგ აზრი ხომ არ შეგიცვლიათ?**

— ასათიანი უფრო შემტევი შუახაზელია, საერთოდ კი ის უნივერსალური ფეხბურთელია — მოსკოვის „ლოკომოტივში" დაცვაში თამაშობს. ასათიანს მოედანზე უფრო მეტი თავისუფლება უნდა მივცეთ, ასე ვთქვათ, თავისი თამაშის საშუალება უნდა ჰქონდეს.

**— მომდევნო მატჩი დანიასთან გველის...**

— ძალიან ძნელი თამაში იქნება, დანიელები სტუმრადაც კარგად თამაშობენ.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ნაკრებმა პირველად წააგო 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში და, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ყველაზე კარგი, ხარისხიანი ფეხბურთი სწორედ ამ წაგებულ მატჩში აჩვენა.

პარადოქსები ფეხბურთს ძალიან უყვარს და ხარისხი რომ სასურველი შედეგის გარანტია არაა, ვიცით.

საქართველოს ამ ნაკრებმა კი ერთხელაც დაამტკიცა, რომ სწორ გზაზე დგას და სადმე ჩიხში თუ არ გადაუხვია, იქნებ... თუმც სანამ მომავალზე ვიტყოდეთ, უკრაინასთან გუშინწინდელ უიღბლო თამაშზეც ხომ უნდა ვთქვათ რამე? ჰოდა, გუშინ აკაკი დევაძეს გავესაუბრეთ...

# დანია ჩვენი შანსია

## მსაჯებმა უკრაინას სამი ქულით მიულოცეს

— რა გითხრა, არც ვიცი. ასეთი თამაშის მერე ლაპარაკიც მიჭირს. თამაში ჩვენი იყო, სამი ქულა უკრაინის — მოკლედ ასე თუ შევაფასებ.

**— პირველი გოლი ძალიან ალოგიკური იყო...**

— მაგაზე ჯერ ვერაფერს გეტყვი. ვერ გავიგე, რა მოხდა. ახლაც არ ვიცი, როგორ ასცდა ბურთი ყველას და... მოკლედ, კასეტას როცა ვნახავ, შეცდომებსაც მაშინ გავაანალიზებ.

**— ამ გოლმა გუნდზე ძალიან უარყოფითად იმოქმედა?**

— 0:1-ზეც დარწმუნებული ვიყავი, რომ არ წავაგებდით. საქართველოს ნაკრებს ბოლო წლებში ასე კარგად არ უთამაშია. ეს რაღაც საოცრება იყო — მეტოქეს გადავუარეთ და... წავაგეთ.

**— შეგიძლია ახსნა, რატომ წავაგეთ?**

— მომენტების გამოუყენებლობის გამო. ამდენ მომენტს რომ გაანიავებ, ესე იგი, არ გიმართლებს. გუშინ საშინლად უიღბლოები ვიყავით.

**— მსაჯობაზე რას იტყვი?**

— პირდაპირ ვიტყვი, რომ მსაჯმა ყველაფერი გააკეთა ჩვენს წასაგებად. საზიზღრად გვიმსაჯეს.

**— ამბობენ, უკრაინელებმა იუბილე არ ჩაიმწარესო...**

— ვერაფერს დავამტკიცებ, მაგრამ ფაქტია, რომ მსაჯებმა უკრაინას მოგება აჩუქეს.

**— კალაძის არყოფნა ძალიან დაგვეტყო?**

— კალაძე ჩვენთვის უდიდესი ძალაა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენმა მცველებმა მშვენივრად ითამაშეს. კახა რომ ყოფილიყო, რა შეიცვლებოდა, ვერ გეტყვი.

**— მომავალ ტურში დანიას ვმასპინძლობთ, თან გრონკიაერი და ჰელვეგი არ ჩამოვლენ...**

— ძალიანაც კარგი, თუ არ ჩამოვლენ. აქამდე სულ უკრაინასთან წაგებაზე ვწუწუნებდი, მაგრამ ჩვენ ყურები არ ჩამოგვიყრია — ბევრი თამაში გველის და ახლა გაჩერებით დავილუპებით. დანიას რომ მოვუგოთ, ყველაფერი ხომ საჩვენოდ შემოტრიალდება.

**— მოკლედ, დანია ჩვენი შანსია?**

— ეგრეა. ალბანეთთან რომ მოვიგეთ, ყველა ამბობდა, ასეთი ცუდი თამაშით მოგებას გემო არა აქვსო. ახლა კარგად ვითამაშეთ და წავაგეთ. რა გამოდის? არ მირჩევნია, დანიასთან საზიზღრად ვითამაშოთ და მოვიგოთ?! ოღონდ მოვიგოთ!

**კახა შალამბერიძე**





# მებრძოლი საქართველო

ადრე, რომ წავაგებდით ხოლმე, ვბრაზობდით.

ალბათ იმიტომ, რომ გასაბრაზებელი იყო. საქართველოს ნაკრებს იშვიათი უნარი ჰქონდა, რომ წაეგო უგერგილოდ, უსახელოდ, უკლასოდ, უბრძოლველად. ათასი „უ" შეიძლება ჩამოვთვალოთ.

ეს იყო ხალხის უბედურება და ტკივილი.

რომ დაიწყო მოლდოველებთან თბილისური მატჩიდან, აღარ დამთავრდა და აღარ. მთელს ამ 12 წელიწადში 4-5 სასახელო თამაში და გამონათება გვქონდა.

ლვოვში რომ წააგო საქართველოს ნაკრებმა, თქვენი ამბავიც ასე მგონია და, მეც არ გავბრაზებულვარ. მხოლოდ მეწყინა.

ეს კი ძალიან კარგია.

ყველანი ვხედავთ, რაც ხდება: საქართველო თამაშობს და იბრძვის.

შეიძლება ბევრი ვილაპარაკოთ ხარვეზებსა და ნაკლზე: ჩვენ ხომ ყველანი მწვრთნელები ვართ, მაგრამ მთავარს ვერ წავუვალთ: თვით საუკეთესო თამაშებშიც კი, საქართველოს ნაკრები ასე მომართული არ ყოფილა.

ჩვენ ვიცით ფეხბურთის თამაში და თავს ვიკლავთ, რომ ეს ყველას დავუმტკიცოთ.

როგორც იქნა, საქართველოს ნაკრები ღიად, სახალხოდ აღიარებს, რომ თანახმაა, ომში ჩაებას. მეტიც, ის უკვე ჩაბმულია ომში, თავზეხელაღებითა და განწყობით და, რა თქმა უნდა, ამგვარ ორომტრიალში კიდეც წააგებს, შეიძლება მეტსაც, ვიდრე მოველით, მაგრამ მთავარი უკვე მოხდა, საქართველო ომში ჩაება.

ჩვენ ძალიან დიდხანს ვაგორავებდით ბურთს ზრდილობის გულისთვის. ამიტომ იოლად არაფერი მოგვეცემა. თვით ყველაზე ჭკვიანურ და თავდადებულ ბრძოლებშიაც. ამგვარმა შეჯიბრმა, რომელშიც ახლა ჩავერთეთ, სიმწარეც დიდი იცის, უბრალოდ, ჩვენ ნაკლებად ვეროდით ამ საქმეში და ყველაფერი მეორე დღეს გვავიწყდებოდა.

ამიტომაც, ვერავინ გაბრაზდება საქართველოს ნაკრებზე.

შეიძლება გვეწყინოს მათთან ერთად, რომ არ გამოვიდა, რომ ყველაფერი ისე არ აეწყო, მაგრამ გასაბრაზებელი ჩვენ არაფერი გვაქვს.

იმიტომ, რომ საქართველო თამაშობს და იბრძვის და ვინც ამას ვერ ხედავს, ის, მგონი, ბევრსაც ვერაფერს ხედავს დედამიწის ზურგზე.

**ირაკლი გამყრელიძე**

geo_geo_fan@hotmail.com

# ქართლის შვილი

## ცალ ხელში არაყი, მეორეში ყარაულის თოფი

სიმართლე გითხრათ, იმედი მქონდა, რომ არ წავაგებდით. არა იმიტომ, რომ საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელი თამაშის ხარისხი მომწონს, უფრო შედეგის გამო — ეგებ კიდევ გაგვივარდეს-მეთქი.

მთავარი შედეგი უნდა იყოს, მაგრამ კაცი თავს რომ ინუგეშებსხოლმე, უკრაინასთან თამაშის მერე მეც რაღაცეებით ვინუგეშე თავი. პირველ რიგში იმით, რომ თამაშის ყურებისას ვნერვიულობდი. ბოლო წლებში ჩვენს ნაკრებს წაგება არ მოჰკლებია, მაგრამ არ მინერვიულია, ვიცოდი, რომ წაგება გარდაუვალი იყო და გარდაუვალზე თავი რატომ უნდა მომეკლა. მაშინდელ გრძნობას აღშფოთება ერქვა იმ უთავობის გამო, ქართული ფეხბურთის თავები რომ იჭმოდნენ. დიდი თავდანობა არც ახლა ეტყობათ, მაგრამ შედეგი გამოჩნდა, თამაშიც მეტ-ნაკლებად რაღაცას დაემსგავსა და ამიტომაც ვინერვიულე — წაგება გარდაუვალი არ იყო.

თავი იმითაც ვინუგეშე, რომ ბოლო წლებისგან განსხვავებით არ შემრცხვენია — საქართველოს ნაკრებმა არ ითამაშა ისე, რომ შეგვრცხვენოდა.

თუმცა კმარა, პირადი განცდებით თავს აღარ შეგაწყენთ და თქვენს განწყობებზე ვისაუბროთ, ჩვენი რუბრიკაც ხომ ამ მიზანს ემსახურება.

პირველ წერილში, რომელიც თქვენს სამსჯავროზე გვინდა გამოვიტანოთ, ჩვენც გვაკრიტიკებენ.

ELERDA_LEVANI: წავაგეთ. მაგრამ არა უშავს. მთავარია, ყურები არ ჩამოვყაროთ და ყველაფერი კარგად იქნება. ნაკრებმა უკეთ ითამაშა, ვიდრე ალბანეთთან, მაგრამ არა უშავს. და კიდევ ერთი, „სარბიელის" კორესპონდენტს, რომელმაც დაადანაშაულა ფედერაცია, ახალგაზრდები ნათხოვარი გეტრებით თამაშობდნენო. ისინი ალბანეთთან და თურქეთთანაც ასე თამაშობდნენ, მაგრამ შედეგის გამო მაშინ ამაზე ხმა არ ამოგილია, ახლა კი ერთი ფეხის დაცდენა და უცბად დააყარე. ასე არ შეიძლება. არ გეგონოთ, ფედერაციას ვემხრობოდე. მე თუ მკითხავ, ყველა დასაჭერია. მაგრამ თუ გასაკრიტიკებელია, სულ უნდა ვაკრიტიკოთ და არა როცა წაიქცევა მხოლოდ ამის მერე დავაყაროთ.

ჩვენს მკითხველს ბოდიშს ვუხდით, მაგრამ ვერ დავეთანხმებით, რომ მხოლოდ წაგებული თამაშების მერე ვწერთ კრიტიკულ სტატიებს. ისე კი, LEVANI-ს მოსაზრებები ძნელია, არ გაიზიარო.

„სარბიელის" ჟურნალისტი მეორე წერილის ავტორსაც ჰყავს მოხსენიებული, თუმცა წერილის შინაარსი, ცხადია, აქაც საქართველოს ნაკრებია.

LONG70: ამ წერილს, როგორც თქვენი ჟურნალისტი კობა ინასარიძე იტყვის-ხოლმე, ონლაინ რეჟიმში, თანაც საკმაოდ შეზარხოშებული გწერთ!

ჯანდაბას და დოზანას ემოცია, მაგრამ, როგორც ჩემი ძმაკაცი გელა ამბობდა თამაშამდე, მთავარია ქართულა არ დაგვემართოსო (სტანდარტულ სიტუაციებს გულისხმობდა). და დაგვემართა! შემსრულებელი (დამამთავრებელი) არ გვყავსო, და ეგეც მართალია...

თუმცა გენიალურად მართალია ისიც, რომ ასეთი თამაშით (ეს უკვე პაატამ თქვა) თბილისში, ტრიბუნების მხარდაჭერისას, შეგვიძლია ნებისმიერი მეტოქის დამარცხება!!!

სალოლ ჟირესს (მიუხედავად ყველაფრისა)! გუნდი დააყენა, ბიჭებმა ითამაშეს!

ახლა (ჩემი) ბიჭები (ძმები) არაყზე გავიდნენ — დავლევთ და მოგვეშვება (ალბათ)!

ჩემო LONG70-ო, თუ გინდა (ჩემი) მეგობარი კობა ინასარიძის რეცეპტს გაგიმხელ, მოსაშვებად (ალბათ) რომ იყენებს — დღეში 12 ფინჯანი ყავა უნდა დალიო.

და სანამ ხალხი ნერვიულობს, თავს იმშვიდებს და გულზე მოსაშვებად არაყს დაეძებს, ჩვენი კიდევ ერთი ძველი ნაცნობი გვწერს, რომ გუნსაკუთრებული არაფერი ხდება.

CARLITO BRIGANTE: რა მოხდა? რა მოხდა და ყველაფერი თავის ადგილას დადგა, როგორც უნდა იყოს ისე. საქართველო კიდე 100 წელი ვერ გავა ვერც ევროპაზე, ვერც მსოფლიოზე. ამათ ჟირესი კი არა, თუ გინდა ფეოლა მოუყვანე მწვრთნელად, მაინც არაფერი ეშველებათ. რითი ვერ გაიგეს მწვრთნელებმა, რომ ჯამარაულის ფეხბურთი მკვდარია უკვე, ამ დროს კიდე კაპიტნის სამკლავური უკეთია. სჯობს ახალგაზრდები ათამაშონ, გამოცდილებას მაინც შეიძენენ. ასეთ უკრაინას ევროპის საშუალო გუნდი მოუგებდა, ჩვენ კიდე ამისგან ძალიან შორს ვართ. რა ითამაშა უკრაინამ? რა და არაფერი! კაცს იმედი გიჩნდება და ამ იმედს გულში გიკლავენ, ამაზე უბედურება რაღა გინდა. იძახიან, შანსები კიდევ გვაქო. ასეთი შანსი ლიხტენშტაინსაც აქვს.

რა ვთქვა? 100 წელი გეცოცხლოს, ჩემო კარლიტო.

ახლა იმედმოცემული მკითხველის წერილი წავიკითხოთ, რომელიც ჩვენი რუბრიკის ასევე ძველი ავტორია.

BAGRATIONI888: მართლაც გულდასაწყვეტია, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებმა რაც შეეძლო, გააკეთა ლვოვში და თავი არ შეირცხვინა. აშკარად თვალშისაცემია ის გარემოებაც, თითქოს ფეხბურთელები და თვითონ გუნდიც თავიდან იწყებს ყველაფერს, თითქოს ამ 15 წლის განმავლობაში არაფერი უკეთებია და თავიდან, განსხვავებული თამაშის სტილით მიუყვება ამ ცოტა ხნის წინ დაწყებულ გათამაშებას. ყოველ შემთხვევაში მე ასეთი აზრი გამომაქვს ამ სამი ჩატარებული თამაშის მერე. მინდა კიდევ აღვნიშნო, რომ ჩვენი ნაკრების ბურთაობას საფეხბურთო ელფერი მართლაც დაჰკრავდა, რასაც უწინ მართლაც ვერ ხედავდა ქართველი გულშემატკივარი.

და დღეისთვის ბოლო წერილიც, ოღონდ ბოლო არა იმიტომ, რომ ფოსტაში მეტი აღარაფერი გვაქვს, დანარჩენები ხვალისთვის შემოვინახეთ. ეს წერილი სხვებზე ადრე მივიღეთ, მაგრამ ბოლოსთვის შემონახვა გადავწყვიტე.

IRAKLY: ეს წერილი თამაშამდე იწერება და ჩვენი გუნდის გამარჯვების შემთხვევაში ალბათ არ დაბეჭდავთ. ნეტავ ასეც მოხდეს, მაგრამ...

ჟირესი იღბლიანი მწვრთნელიაო... ჩვენს გუნდს ასეთი იღბლიანი მწვრთნელი მართლაც არ ყოლია აქამდე და თუმცა იღბალი ფეხბურთში მნიშვნელოვანია, ის უფრო მნიშვნელოვანია, მარტო ამაზე არ ვიყოთ დამოკიდებულნი. სამწუხაროდ, დღეს ასეა, ასე იყო პირველი შესარჩევი ციკლიდან და ასე გრძელდება დღემდე. მე პირადად მიმაჩნია, რომ მერაბ ჟორდანიას საქმიანობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და თავი და თავი მიზეზი ყოველი წარუმატებლობისა ის არის, ოღონდ ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ იმ ლოკალური წარმატებების მიზეზი ის არ ყოფილა. დღევანდელი ჩაფლავება კი გარდუვალია იმიტომ, რომ ის ყარაულის თოფი, რომელიც ერთხელ ისვრის, ახლა ცარიელია ორმაგად. სამწუხაროდ, ჩვენ იმ მძინარე მეზობლებს ვგევართ, ვისაც ეს გასროლა ცოტა ხნით გამოაფხიზლებს და მერე ისევ ძილს მივცემთ თავს...

**WEB ოსტატი ბუარა**

geo_geo_fan@hotmail.com

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. IV ტური

## I ჯგუფი

# ისტორიული გამარჯვება და მარცხი

**ანდორა 1:0 მაკედონია**
1:0 ბერნაუსი (60)
**ანდორა:** კოლდო, ესკურა, ჩემა, ხული ფერნანდესი, ტ. ლიმა, სონეხე, მ. პუიოლი (ხ. გარსია 78), ფ. სილვა (ხული სანჩესი 85), სივერა, ბერნაუსი, ხ. რუისი (რ. ხონასი 90)
**მაკედონია:** ნიკოლოსკი, ი. მიტრესკი, ა. მიტრესკი (ბოჟინოვსკი 78), სტავრევსკი, ტრაიანოვი (ბაჟევსკი 46), იანჩევსკი, გროზდანოვსკი, სტოიანოვსი, პანდევი, სტოიკოვი, შაკირი
მსაჯი: სტეფანო პოდეში (სან მარინო)
200 მაყურებელი

**ნახევარმცველის,** მარკ ბერნაუსის ოსტატური დარტყმა და... ინებეთ, ანდორამ პირველი ოფიციალური შეხვედრა მოიგო, მაკედონია ემსხვერპლა. ამ ამბავს „სტადიო კომუნალზე“ 200 მაყურებელი ესწრებოდა. ესპანეთის მეორე დივიზიონში, „ელჩეში“ მოთამაშე ბერნაუსმა საჯარიმოს კიდიდან შეასრულა ანდორელთათვის ეს სრულიად ფანტასტიკური, ისტორიული და ლეგენდარული დარტყმა.

ანდორის ნაკრების მწვრთნელი დავიდ როდრიგო:

„დღევანდელი გამარჯვება საგანგებო ფაქტორების თანხვედრამ მოგვიტანა. პირველი და მთავარი ის არის, რომ თავად ჩინებულად ვითამაშეთ; მეორე ის გახლავთ, რომ მოწინააღმდეგეს საკუთარ გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა და სწორედ ეს იყო მისი დიდი შეცდომა. და მესამე, გაგვიმართლა კიდეც — ეს ყველაფერი ერთ დღეს მოხდა და ისლა დაგვრჩენია, საკუთარი წარმატებით დავტკბეთ“.

ანდორა ფიფაში 1996 წელს გაწევრიანდა. ნაკრებს აქამდე უკლებლივ ყველა ოფიციალური ანუ შესარჩევი შეხვედრა წაგებული ჰქონდა, თუმც ამხანაგურში ორი წარმატებისთვის მაინც მიეღწია, ბელარუსთან და ალბანეთთან.

მიმდინარე შესარჩევი კამპანია ანდორელებმა ასე დაიწყეს: ჯერ ფინელებთან წააგეს 0:3 და შემდეგ რუმინეთთან 1:5. რუმინელებთან შეხვედრაში დავიდ როდრიგოს გუნდმა პირველ 16 წუთში სამი გოლი გაუშვა, მაგრამ ახლა სულ სხვანაირად მოიქცა — მაკედონიელებს ნახევარდაცვაშივე სწვდა და თავისი საჯარიმოდან შორს დაუპირა მოგუდვა, რაც გამოუვიდა კიდეც. ამრიგად, მაკედონიელებმა, რომლებმაც შაბათს ჰოლანდიასთან 2:2 ითამაშეს, პირველ ტაიმში ორი ნახევარმომენტი შექმნეს, მეორეში კი ზემოთ ბერნაუსის ამბავი რომ მოგახსენეთ, ის მოხდა.

მაკედონიელთა მწვრთნელი დრაგან კანატლაროვსკი, რომელმაც გუშინ დატოვა პოსტი:

„სამარცხვინო რამ შეგვემთხვა. ჩვენთვის მსოფლიოს ჩემპიონატი ფაქტობრივად დამთავრებულია, რაც ამ გუნდის მწვრთნელი ვარ ასე საშინლად არ გვითამაშია. ნამდვილად არ ველოდი რომ დავმარცხდებოდით“.

საინტერესოა, კანატლაროვსკის მასპინძლები ერთი სიტყვითაც არ შეუქია.

**პაპუნა ქედია**

**ჰოლანდია 3:1 ფინეთი**
0:1 ტაინიო (14), 1:1 სნეიდერი (40), 2:1, 3:1 ვან ნისტელროოი (41, 63)
**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ჰეიტინგა, ნ. დე იონგი, კოკუ, ლანძაატი, სნეიდერი (ვან ბომელი 83), ვან დერ ვაარტი (ვან ბრონკჰორსტი 73), დავიდსი, კასტელენი (მაკაი 77), ვან ნისტელროოი, კუიტი
**ფინეთი:** ნიემი, პასანენი, ჰიიპია, კუივასტო, ნურმელა, ვაირინენი (პოჰია 85), ტაინიო, რიიჰილაჰტი (ჯ. იოჰანსონი 60), კოლკა, კუქი, ერიომენკო (საარინენი 73)
მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)
49 000 მაყურებელი

**რუუდ** ვან ნისტელროოიმ ერთი პირველ ტაიმში გაიტანა და ერთიც მეორეში, ამას ზედ უესლი სნეიდერის გოლიც დაემატა, პლუს სულ დასაწყისში ტეემუ ტაინიომ ერთიც ორანიეს კარში შეაგდო და ასე გამოვიდა 3:1 ჰოლანდიის ნაკრების სასარგებლოდ.

ანგარიში, როგორც მოგახსენეთ, ფინელებმა გახსნეს — ფრანგული „ოსერის“ გამთამაშებელმა ტაინიომ თავურით შეაგდო მასპინძლების კარში, მაგრამ შემდეგ 28 წლის ვან ნისტელროოის დროც დადგა. შეგახსენებთ, რომ თიაქრის ოპერაციამ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდს ჰოლანდიის ნაკრების პირველი და მეორე თამაში, ლიხტენშტაინთან და ჩეხეთთან გამოატოვებინა, მაგრამ ოთხშაბათს იგი ეროვნულ გუნდს დაუბრუნდა და თავიდან, პირველი ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე უესლი სნეიდერს გაატანინა, ერთი წუთის შემდეგ კი კარის ხაზიდან ორ მეტრში მდგომმა თავადვე შეაგდო და ჰოლანდია ასე დააწინაურა.

ამ გოლმა ყინული გაბზარა. მასპინძლები მეორე ტაიმში უკვე სხვა გუნდად გახლდნენ გარდასახულნი და 63-ე წუთზე კუთხურს, ვან ნისტელროოის მეორე გოლიც მოჰყვა.

თამაშის შემდეგ ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა განაცხადა:

# ორანიეს გამოსწორება


REUTERS ამსტერდამიდან

ჰოლანდია — ფინეთი. რუუდ ვან ნისტელროოის დუბლმა თამაში გააკეთა

„უნდა ვაღიარო, რომ მატჩს რთული დასაწყისი ჰქონდა. იყო პოზიციური შეცდომებიც, მაგრამ ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია, ბევრი ახალი, გამოუცდელი ფეხბურთელი გვყავს და ამიტომ ყველაფერზე მნიშვნელოვანია მოვლენები ჩვენს სასარგებლოდ განვავითაროთ.

ფაქტია, რომ შაბათის შემდეგ მდგომარეობა გამოვასწორეთ და ვნახეთ ჩინებულად ათამაშებული უესლი სნეიდერი და ბრწყინვალედ დაბრუნებული რუუდ ვან ნისტელროოი“.

**პაპუნა ქედია**

**სომხეთი 0:3 ჩეხეთი**
0:1 კოლერი (3), 0:2 როსიცკი (30), 0:3 კოლერი (78)
**სომხეთი:** ბეტე, მელიქიანი, დოხოიანი (მკრტჩიანი 46), ჰოვსეპიანი, ვარდანიანი, პეტროსიანი, ნაზარიანი, მხითარიანი, შახგელდიანი (მოვსესიანი 83), მანუჩარიანი, ალექსანიანი (სარქისიანი 73)
**ჩეხეთი:** ჩეხი, გრიგერა, გალაშეკი (რადოსლავ კოვაჩი 60), უიფალუში, ბოლფი, იანკულოვსკი, კოლერი (ლოკვენცი 82), როსიცკი, ვახოუშეკი (იაროშიკი 77), ჰაინცი, სიონკო
მსაჯი: იაცეკ გრანატი (პოლონეთი)
7 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 9 |
| ფინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:6 | 9 |
| ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ჩეხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| მაკედონია | 4 | 1 | 1 | 2 | 6:5 | 4 |
| ანდორა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:8 | 3 |
| სომხეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | 0 |

V ტური: 17 ნოემბერი
**ანდორა — ჰოლანდია**
**სომხეთი — რუმინეთი**
**მაკედონია — ჩეხეთი**

## IV ჯგუფი

# რწმენა, იმედი... საფრანგეთი


REUTERS ნიქოზიიდან

კვიპროსი — საფრანგეთი. სტუმართა ორი გოლიდან ერთი ტიერი ანრისა იყო

**კვიპროსი 0:2 საფრანგეთი**
0:1 ვილტორდი (38), 0:2 ანრი (72)
**კვიპროსი:** პანაიოტუ, ოკარიდისი, ნიკოლაუ, კაკოიანისი, საციასი, ელია, ე. ხარალამბუსი, გეორგიუ, კ. ხარალამბუსი (მარკიდისი 56), ოკასი, კონსტანტინუ (იასუმისი 82)
**საფრანგეთი:** ბარტეზი, გალასი, გივე, სკილაჩი, სილვესტრი, ვილტორდი, ვიეირა, დაკური (ა. დიარა 90), პირესი (დ. მორეირა 46), ანრი, ლუინდულა (ევრა 66)
მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
7 000 მაყურებელი

**ტიერი** ანრიმ გააკეთა ის, რაც ოთხი თვე არ გაეკეთებინა — ნაკრების შემადგენლობაში გოლი გაიტანა, ერთი სიტყვით, საფრანგეთის ნაკრებმა კვიპროსზე გაიმარჯვა.

ანგარიში სილვენ ვილტორდმა გახსნა. მან 38-ე წუთზე შეაგდო ბურთი მასპინძელთა კარში, ხოლო ანრიმ შეცვლაზე შესული დანიელ მორეირას ჩინებული პასით თავისი გასატანი 72-ე წუთზე გაიტანა. ამრიგად, ფრანგებმა სამი ქულა მიიმატეს და შაბათს, შინ ირლანდიასთან ნათამაშები 0:0-ს შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს.

მეორე მხრივ უნდა ითქვას, რომ კვიპროსელები მთელი შეხვედრის განმავლობაში საკმაოდ დიდ ზეწოლას ახდენდნენ სტუმრებზე, მაგრამ მათ კარში გოლი ვერ გაიტანეს, რაც (ისევე, როგორც ირლანდიელებთან შეხვედრაში) ვეტერანი მეკარის ფაბიენ ბარტეზის დამსახურება გახლდათ. დიახ, ამბობენ, რომ „ლურჯები“ საუკეთესო ფორმისგან ჯერ შორს არიან, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო ხუთ შეხვედრაში მათ მხოლოდ ერთი გოლი აქვთ გაშვებული.

შეგახსენებთ აგრეთვე, რომ ამ შეხვედრაში მოედანს დაუბრუნდა ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა, რამაც ფრანგთა გუნდს ახლებური ძალა შთაბერა და ამავე მიზანს ემსახურა ჯიბრილ სისეს ნაცვლად „მარსელის“ მოთამაშის, პეგი ლუინდულას შემადგენლობაში ჩასმაც.

შეხვედრა ფრანგების ინიციატივით წარიმართა, ბურთს „ლურჯები“ აკონტროლებდნენ, მაგრამ საბოლოო დარტყმა უჭირდათ, კვიპროსელებმა კი თავიანთი სტრატეგია კონტრშეტევებზე ააგეს და 25-ე წუთზე ძალიან სახიფათო მომენტიც შექმნეს — იოანის ოკასმა ახლოდან ორჯერ დაარტყა და ორჯერვე ბარტეზმა აუღო.

თანდათანობით ფრანგებისთვის ნათელი ხდებოდა, რომ თუ მორიგი ფრისგან თავის დაღწევა უნდოდათ, თამაში უნდა გაემძაფრებინათ და გაამძაფრეს კიდეც — საჯარიმოდან ვილტორდის დარტყმული მეკარე ნიკოს პანაიოტუმ ვერ მოიგერია. ასეთი გახლდათ ვილტორდის ნაკრებში დაბრუნება, რომელშიაც უკვე 23 გოლის აქვს გატანილი.

მეორე ტაიმში კვიპროსელებმა მთელი 20 წუთის განმავლობაში ყველა ღონე მოსინჯეს, მაგრამ ამაოდ: ტიერი ანრის გოლმა მატჩს ძახილის ნიშანი დაუსვა.

კვიპროსელებმა ამის მერე მხოლოდ იმით მოიწონეს თავი, რომ შეხვედრის დასრულებამდე 10 წუთით ადრე სტავროს გეორგიუს დარტყმული ბურთი ფრანგთა კარის ძელს მოხვდა.

„ასეთი თამაშები საკუთარი თავის რწმენას აღგიდგენს — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ლურჯების“ თავკაცმა რაიმონ დომენეკმა — ჩვენ გამარჯვების დიდი სურვილი გამოვამჟღავნეთ და ამ იდეისგან წამით არ გადაგვიხვევია. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩემპიონები აღარ ვართ, მაგრამ ისიც ნათელია, რომ მხოლოდ ერთი მიზანი გვქავს, ისევ ჩემპიონობა. დღეს გოლებმაც გამახარა. სხვათა შორის, ძალიან გავწვალდით კიდეც, რადგან კვიპროსელები მოედანზე სულაც არ იყვნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ფეხბურთის ცქერით დამტკბარიყვნენ. ერთი სიტყვით, დრო ნამდვილად გვჭირდება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სწორ გზას ვადგავართ. მერე, ძალიან კარგი იყო ისიც, რომ გოლი კვლავ არ გაგვიშვია. მწვრთნელისთვის მეტისმეტად სასიამოვნოა, როდესაც ხედავს, რომ ასეთი დაცვა ჰყავს. ეს ხომ უკვე ზედიზედ მეოთხე თამაშია, რომელშიც გოლს არ ვუშვებთ, თუმცა ყველაფერზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ვითამაშეთ ისე, როგორც ერთსულოვან გუნდს შეშვენის.“

**პაპუნა ქედია**

**ირლანდია 2:0 ფარერები**
1:0, 2:0 რობი კინი (143, 32)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 4 | 2 | 2 | 0 | 6:1 | 8 |
| საფრანგეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:0 | 8 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 2 | 0 | 9:3 | 5 |
| ისრაელი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| კვიპროსი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | 1 |
| ფარერები | 4 | 0 | 1 | 3 | 2:12 | 1 |

V ტური: 17 ნოემბერი
**კვიპროსი — ისრაელი**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. IV ტური

### III ჯგუფი

**პორტუგალია 7:1 რუსეთი**

1:0 პაულეტა (26), 2:0 რონალდო (39), 3:0 დეკო (45), 4:0 რონალდო (69), 4:1 არშავინი (79), 5:1 სიმაო (82), 6:1, 7:1 პეტიტი (89, 90)

**პორტუგალია:** რიკარდუ, პ. ფერეირა, მიგელი, რ. კარვალიუ, ჟორჟე ანდრადე, კ. რონალდო (ბოა მორტე 84), კოშტინია, მანიშე (პეტიტი 73), დეკო, პაულეტა (ნუნუ გომეში 67), სიმაო

**რუსეთი:** მალაფეევი, სენიკოვი (რ. გუსევი 46), ბუგაევი, ევსეევი, იგნაშევიჩი, სმერტინი, ანიუკოვი, ალდონინი (ბოიარინცევი 71), არშავინი, ბულიკინი, სიჩოვი (კირიჩენკო 46)

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

27 258 მაყურებელი

**გუშინწინ** საღამოს უკრაინისაგან განაწყენებული ქართველი გულშემატკივრები ნაშუაღამევს „მოძმე“ რუსებმა მაგრად გვასიამოვნეს. ლიხტენშტაინისგან შერცხვენილი ევროპის ვიცე-ჩემპიონები თავს რომ არ დაზოგავდნენ და ავად თუ კარგად მაინც მოახერხებდნენ მოგებას, ამაში ეჭვი ცოტას თუ ეპარებოდა, მაგრამ ასეთ წირვას თუ გამოუყვანდნენ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს, ვინ იფიქრებდა?

მატჩის დებიუტშივე გამოჩნდა, რომ რუსები ლისაბონიდან ქულის წამღებები არ იყვნენ. დეკო, რონალდო და ძმანი მათნი ისე ხშირხშირად ცვლიდნენ პოზიციებს და ისე მრავალფეროვნად უტევდნენ, რომ სლავთა მცველები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და ისე ჩანდა, თითქოს ამქვეყნად არ იყვნენ.

პირველი გოლი 26-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან კრისტიანო რონალდოს ოსტატურად ჩაწოდებულს მოჰყვა. ბურთი თამაშგარეში მყოფ დეკოს მისდიოდა და რუსები მცველ-მეკარიანად გაჩერდნენ, მსაჯის ალამს დაელოდნენ, მაგრამ გაპორტუგალიელებულმა ბრაზილიელმა ბურთი ოსტატურად გაატარა და მცველთა რიგებიდან გამომხტარმა პედრუ პაულეტამაც ბადეში შეახვია. დიდხანს აპროტესტა რუსმა კომენტატორმა, გოლი პასიური თამაშგარედან გავიდაო, მაგრამ ასეთი სიტუაციები მსაჯის გადასაწყვეტია და მანაც ისე გადაწყვიტა, ჩვენ რომ გაგვიხარდებოდა.

39-ე წუთზე რონალდომ ანგარიში ორამდე გაზარდა, ტაიმის მიწურულს კი დეკომ მესამე ბურთი გააკეთა: ჯერ თავის ნახევარზე აართვა რუსებს ბურთი, გზად სამი შემხვედრი მოატყუა და შეტევა წამოიწყო, დასკვნით ფაზაში თავადვე მიიღო ბურთი, კიდევ ერთ მეურვეს გასცდა და შორეული დარტყმით თამაში ფაქტობრივად, აქ დასრულა.

მეორე ტაიმში მინდორზე ზლაზვნით გამოსულ რუსებს რაღაცის იმედი კიდევ ჰქონდათ. არა, მოგების იმედი კი არა, მაგრამ ის კი ედოთ ალბათ გულში, მასპინძლები გაჩერდებიან და არ შეგვარცხვენენო, მაგრამ მეტი არაა ჩემი მტერი. ჯერ რონალდომ, შემდეგ სიმაო საბროსამ და ბოლოს ორჯერ შეცვლაზე შესულმა არმანდუ პეტიტმა რუსებს პირველი ტაიმის შედეგი სანატრელი გაუხადეს და კიდევ ოთხჯერ გაასაცოდავეს მეკარე ვიაჩესლავ მალაფეევი.

არშავინის მიერ 79-ე წუთზე ყარაულის თოფივით გავარდნილი გოლი კი აქ მოსატანი არაა.

# დარჩი ჩვენთან, ნუ მიმატოვებ?!

## ნამუსახდილი რუსეთი პრეზიდენტმა დაიცვა

საბოლოოდ 7:1. რუსებმა ისტორიაში პირველად წააგეს ასეთი ანგარიშით, თუმცა მეექვსე გოლის შემდეგ გასახდელში გაპარული რუსთა მწვრთნელი გეორგი იარცევი გადადგომას თურმე არ აპირებს. პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვს ველაპარაკე და დამითანხმა დარჩენაზეო, უნამუსოდ აცხადებს ნაკრების თავკაცი, წაგება კი ფეხბურთელთა უმოტივაციობას დააბრალა.

დარჩეს, ვინ უშლის. კიდევ დიდხანს დარჩეს...

**ლადო ფულუძიძე**

**ლატვია 2:2 ესტონეთი**

1:0 ასტაფიევსი (65), 1:1 ოპერი (72), 1:2 ტეევერი (79), 2:2 ლაიზანსი (82)

**ლუქსემბურგი 0:4 ლიხტენშტაინი**

0:1 მარტინ შტოკლასა (41), 0:2 ბურგმაიერი (44), 0:3 ფრიკი (57პ), 0:4 ბურგმაიერი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 4 | 3 | 1 | 0 | 15:3 | 10 |
| სლოვაკეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 15:3 | 10 |
| ესტონეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:7 | 7 |
| რუსეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:8 | 4 |
| ლატვია | 4 | 1 | 1 | 2 | 7:11 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:11 | 4 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:19 | 0 |

**V ტური: 17 ნოემბერი**

**ლუქსემბურგი — პორტუგალია**

**ლიხტენშტაინი — ლატვია**

**რუსეთი — ესტონეთი**



REUTERS

პორტუგალიელებმა რუსებს ფეხზე მაგრად დააბიჯეს

# მატჩის შემდეგ

ის, რაც ლისაბონის „ჟოზე ალვალადეზე“ მოხდა, ერთ უბრალო სენსაციად ნამდვილად ვერ აღვიქვამთ — პატარა პორტუგალიამ დიდი რუსეთი გაბდღვნა.

გვინდოდა გაგვეგო, თუ როგორ გამოეხმაურა ამ მოვლენას პორტუგალიური თუ რუსული მედია, მაგრამ რა, მხოლოდ პორტუგალიელებისა შეგვრჩა ხელთ — რუსებმა, ჩვენ ხელი დაგვიბანიაო თქვეს და თვით „სპორტ ექსპრესმაც“ წაუყრუა.

ასე რომ, იძულებულნი ვართ, ცალმხრივად ანუ პორტუგალიელთა სიხარულით და დითირამბებით შემოვიფარგლოთ.




პირინეელთა წამყვანმა სპორტულმა გაზეთმა „O JOGO“-მ პირველ გვერდზე სკოლარის ბიჭები ასე შეაქო, „ბრწყინვალე რაინდები“, რომელსაც აქვე გთავაზობთ: *„ლიხტენშტაინთან უგემური ფრის შემდეგ რუსების განადგურებამ ქომაგებს რწმენა დაგვიბრუნა. „ჟოზე ალვალადეზე“ პორტუგალიის ეროვნულმა გუნდმა დაამტკიცა, ვადუცის სენსაცია ბედის ირონია იყო და სხვა არაფერი... დეკოს, კრისტიანო რონალდოსა და სელესაოს დანარჩენი წევრების შვიდმა გოლმა პორტუგალიურ ფეხბურთში ახალი ერა შექმნა...“*

ხსენებულ გაზეთში ფეხბურთელთა კომენტარებსაც ვკითხულობთ: დეკო — *„შედეგით უაღრესად კმაყოფილი ვარ. მიხარია, რომ ნაკრებს გოლებით დავეხმარე. რუსებს თამაშის ყველა ასპექტში ვაჯობეთ, ფრისა და მით უმეტეს, მოგების არანაირი შანსი არ ჰქონდათ“.* რონალდო — *„რუსეთის ნაკრები საკმაოდ სერიოზული გუნდია, ამიტომაც მეტოქის 7:1 დამარცხება ჩვენს გულშემატკივარს მომავლის იმედით აღავსებს. ემოციების გამოსახატად სიტყვები არ მყოფნის“.* პეტიტი — *„ნაკრების შემადგენლობაში აქამდე გოლი არასდროს გამეტანა, რუსებთან კი ერთბაშად ორი შევაგდე. ეს ჩემს კარიერაში უმნიშვნელოვანესი, დიდებული მომენტია. ახლა კი მჯერა, რომ პორტუგალიის ნაკრებს ნებისმიერის დამარცხება შეუძლია“.* პაულეტა — *„მშვენივრად გვესმოდა, ლიხტენშტაინთან ფრემ მთელი ქვეყანა შოკში ჩააგდო. იარცევის გუნდთან საბრძოლველად სრული შემართებით გამოვედით და შედეგიც სახეზეა. თქვენ კი ჟურნალისტებო, გთხოვთ, პორტუგალიის ნაკრებს ჯერ ნუ ჩამოწერთ, სათქმელს კიდევ ბევრჯერ ვიტყვით“...*

ლისაბონურ „LA LUSA“-ს მატჩის მიწურულს რუსთა თავკაც იარცევის საქციელი გაჰკვირვებია. *„13 ოქტომბერს „ჟოზე ალვალადეზე“ პორტუგალიის ნაკრებმა გეორგი იარცევის რუსებს სამუდამოდ დასამახსოვრებელი გაკვეთილი ჩაუტარა — საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მოწინააღმდეგის დამრიგებელმა მალაფეევის კარის მეექვსეჯერ აღების მერე მოედანი გამშვებულმა მიატოვა“.* „LA LUSA“ სკოლარისაც გაესაუბრა, სეუ ფელიპაოს ჟურნალისტებთან უთქვამს, მოგებას ცხადია, ველოდი, მაგრამ ბიჭები რუსებს თუ ასე დაჯაბნიდნენ, ნაკლებადო.

გაზეთი „PUBLICO“ კი ლუზიტანებს დიდებული გამარჯვების გამო ძველ ცოდვებს ჰპატიობს: *„სელესაომ რუსული გიგანტი დაანაფოტა. ისტორიული 7:1-ის მერე სკოლარის ბიჭებს ლიხტენშტაინთან უცნაურ ფრეს არავინ გაუხსენებს“.*

ეს ყველაფერი კარგით, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ იქაური ჟურნალისტები მატჩის ბერძენ არბიტრ კიროს ვასარასს კრისტიანო რონალდოზე არდანიშნული პენალტის გამო ემდურიან, რუსებმა ჩვენებური მალაფეევის საჯარიმოში რომ მოცელეს, მსაჯმა თერთმეტმეტრიანი რატომღაც არ დანიშნაო — ქოთქოთებს გოლებით გაუმაძღარი „PUBLICO“-ს მავანი მიმომხილველი.

**ლადო ხომერიძე**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. IV ტური

## V ჯგუფი

# აქშრა ხუთ თვიანში წავიდა



იტალია — ბელარუსი. ალბერტო ჯილარდინომ (№9) როგორც იქნა, გაიტანა

**იტალია 4:3 ბელარუსი**

1:0 ტოტი (27პ), 2:0 დე როსი (33), 2:1 რომაშჩენკო (52), 3:1 ტოტი (74), 3:2 ბულიგა (77), 4:2 ჯილარდინო (86), 4:3 რომაშჩენკო (89)

**იტალია:** ბუფონი, ოდო (კანავარო 69), ნესტა, მატერაცი, პანკარო, დიანა (პეროტა 65), გატუზო, დე როსი (ბლაზი 74), ძამბროტა, ტოტი, ჯილარდინო

**ბელარუსი:** ხომუტოვსკი, კულჩი (კოვალი 84), იასკოვიჩი, ტარლოვსკი, შტანიუკი, გურენკო, ლავრიკი (კოვბა 76), ბელკევიჩი, რომაშჩენკო, კორიტკო (ბულიგა 36), კუტუზოვი

გაძევება: იასკოვიჩი (90)

მსაჯი: კარლოს მეხია დავილა (ესპანეთი)

16 510 მაყურებელი

**კარგად** დააკვირდით, რა ანგარიშით დამთავრდა იტალიისა და ბელარუსის შეხვედრა. დაახლოებით 15 წლის წინ ამ მატჩს იტალიის ნაკრები მინსკის „დინამოს" წინააღმდეგ ერქმეოდა და ასეთი შედეგი სენსაციათა სენსაციად შეირაცხებოდა, მაგრამ დღეს ევროპაში ვითარება შეცვლილია, აღარც ბელარუსის ნაკრებია მინსკის „დინამო" და იტალიელებიც მწვრთნელიან-ფეხბურთელებიანად აღიარებენ, რომ ამ გამარჯვებამ წინა ტურში სლოვენიელებთან წაგების შემდეგ საკუთარი თავის რწმენა ალუდგინათ.

„ეს იყო ძალიან კარგი თამაში, რომლის პირველ ტაიმში იტალია ძლიერ შთამბეჭდავი გახლდათ — განაცხადა მარჩელო ლიპიმ — შემდეგ იმ ბიჭმა, რომაშჩენკომ შორიდან წარმოუდგენელი გოლი გაგვიტანა, რასაც ვერაფერი შეაჩერებდა. საერთოდ, ჩვენ ლამაზ გოლებს ვუშვებთ. მეორეც ძალიან ლამაზი იყო, თუმცა მისგან თავის დახსნა შეიძლებოდა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ გამარჯვებისთვის ოთხი გოლი გახლდათ საჭირო და ჩვენ ეს ოთხი გოლი გავიტანეთ. ჩვენ კარგად ვითამაშეთ და გულწრფელად გეტყვით, უფრო მეტის გატანაც შეგვეძლო, რაც ვერ შევძელით, იმიტომ რომ პირველ ტაიმში ბელარუსი მხოლოდ დაცვით იყო დაკავებული."

ამ შედეგმა და ამასთან ერთად ნორვეგიაში სლოვენიელების საოცარმა და მოულოდნელმა 0:3 წაგებამ, „სკუადრა აძურა" ისევ პირველ ადგილზე დააბრუნა.

„ახლა, შემდეგ თამაშამდე მთელი ხუთი თვე გვაქვს და ცოტა უნდა დავწყნარდეთ — განაგრძო ლიპიმ — ჩვენი მიზანია დიდმა ფეხბურთელებმა დიდ შედეგებს მიაღწიონ და აგრეთვე ვიმედოვნებთ, რომ შემდგომი თამაშისთვის ტრავმებისგან თავისუფალი ვიქნებით".

უფრო კონკრეტულად, იტალიის ნაკრებს შემდეგ თამაში 26 მარტს აქვს შოტლანდიასთან, ოღონდ ამ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს ჯანლუკა ძამბროტა.

„სამწუხაროდ, თამაშის გამოტოვება მომიწევს, მაგრამ შეუცვლელი ხომ არა ვარ, იტალიაში ბევრი ღირსეული ფეხბურთელია, რომელსაც ჩემი სრულყოფილი შეცვლა შეუძლია — განაცხადა „იუვეს" ნახევარმცველმა, რომელსაც ბელარუსთან მარცხენა ფრთაზეც ვხედავდით და მარჯვენაზეც — დღეს კი მწვრთნელმა ჩემი ოდნავ წინ წაწევა გადაწყვიტა, მაგრამ ამას არ დავუბნევივარ. ეს ის პოზიციაა, რომელსაც „ბარიში" თამაშის დროსაც მივზომებივარ და „იუვენტუსში". ასე, რომ გასაკვირი არაფერი მომხდარა. რაც შეეხება ფლანგების ცვლას, იმის გამო, რომ ბოლო წელიწადნახევარია მარცხნივ მათამაშებენ, მარჯვნივ დაბრუნებამ ოდნავ შემაფერხა, რადგან დრო დამჭირდა ძველ გარემოსთან შესაჩვევად. შემდეგ ყველაფერი კარგად აეწყო და ბოლო გოლში სწორედ ამ პოზიციიდან მივიღე კიდეც მონაწილეობა".

კარგად ითამაშა ფრანჩესკო ტოტიმაც, რომელმაც ნაწილობრივ მაინც დაადუმა შაბათს ამხედრებული კრიტიკოსები.

ძამბროტა: „ტოტი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია, რომელიც უდიდეს პასუხისმგებლობას კისრულობს და ამ პასუხისმგებლობისთვის თავის გართმევა შეუძლია კიდეც, რაც დღესაც დაამტკიცა".

გაღიმებული გახლდათ ალბერტო ჯილარდინოც, რომელმაც დიდხნიანი პაუზის შემდეგ ისევ გაიტანა გოლი — თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ახლოდან თავით შეაგდო ბურთი, რომელიც ძამბროტას საშინელი დარტყმის შემდეგ ბელარუსთა მეკარე ვასილი ხომუტოვსკიმ მუშტებით მოიგერია.

„ადრე თუ გვიან რომ გავიტანდი ეჭვი არ მეპარებოდა, ამიტომ ერთადერთი, რაზეც ვფიქრობდი, გუნდის საქმეში, საერთო საქმეში წვლილის შეტანა იყო. ჩემი გოლი კი ტორტზე შემოდებული ბოლო მარწყვივით იყო და მეტი არაფერი" — თქვა პარმელმა, რომელიც თავისი ქომაგების წინაშე თამაშობდა. სხვათა შორის, ჯილარდინომ წინა დღეს მცირე მღელვარებაც კი გამოიწვია, როდესაც დაგეგმილ პრესკონფერენციაზე არ მივიდა.

„დუმილი ყურადღების მოკრეფაში დამეხმარა და სულ ეს იყო. პრესაზე სულაც არ ვიყავი გაბრაზებული".

შეხვედრის მეორე გოლი 21-წლამდელთა ნაკრებში ჯილარდინოს თანაგუნდელმა, რომაელმა დანიელე დე როსიმ გაიტანა. ჯილარდინო: „მიხარია, რომ მე, დე როსიმ და დანიელე ბონერამ „სკუადრა აძურაში" იოლად მოვიკიდეთ ფეხი".

**პაპუნა ქედია**

**ნორვეგია 3:0 სლოვენია**

1:0 კარეუ (7), 2:0 მ. პედერსენი (60), 3:0 ოდეგაარდი (90)

**მოლდოვა 1:1 შოტლანდია**

1:0 დადუ (27), 1:1 ს. ტომპსონი (30)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| ნორვეგია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| სლოვენია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ბელარუსი | 3 | 1 | 1 | 1 | 8:5 | 4 |
| შოტლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| მოლდოვა | 4 | 0 | 1 | 3 | 1:9 | 1 |

**V ტური: 26 მარტი, 2005 წელი**

**იტალია — შოტლანდია**



ბელარუსებთან მატჩში ფრანჩესკო ტოტი ერთ-ერთი გამორჩეული იყო

## VII ჯგუფი

# 0:0 ტალახის სასარგებლოდ

**ლიტვა 0:0 ესპანეთი**

**ლიტვა:** კარჩემარსკასი, სტანკევიჩიუსი, ჯიაუკშტასი, შკერლა, შკარბალიუსი, გედგაუდასი (მიკალაიუნასი 75), ვენცევიჩიუსი, ბარასა, ჩესნაუსკისი, იანკაუსკასი, დანილევიჩუსი (რაძინევიჩუსი 82)

**ესპანეთი:** კასილიასი, სალგადო, კ. პუიოლი, მარჩენა, კაპდევილა (ფ. ტორესი 77), ვიქტორი (ტამუდო 53), ალბელდა, ხავი, ბარახა (რეიესი 65), რაული, ლუკე

მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)

6 000 მაყურებელი

**ლუის** არაგონესის ესპანეთმა ლიტვურ „ჟალგირისის" არენაზე იქაურ ეროვნულ გუნდთან ულიმღამო მატჩი ჩაატარა — მიუხედავად იმისა, რომ ბალტიელთა ნაკრებს ტრავმის გამო ორი წამყვანი ფეხბურთელი ვერ ეხმარებოდა (პოშკუსი, შემბერასი), მეტოქეზე ბევრად აღმატებულმა კასტილიელებმა მადრიდში ოდენ უგოლო ფრე წაიყოლეს. 13 ოქტომბერი არაგონესის არმადასთვის იღბლიანი დღე ნამდვილად არ იყო...

ბალტიურ-პირინეული ჯახი თითქოს თავიდანვე ფრისთვის იყოო განწირული — ესპანელებს ვილნიუსში ჩასვლისთანავე ჯერ ადგილობრივი სუსხი ემცხეთათ (-4 გრადუსი), მერე ატალახებული „ჟალგირისის" არენა შემოელანძღათ და ბოლოს ბურთიც სურვილისამებრ გამოცვალეს. მასპინძლებს კი ცხადზე ცხადი იყო, მრისხანე მეტოქესთან ლაღი და შემტევი ბურთაობა არ დაეგეგმათ, მსაჯის სასტვენისთანავე თერთმეტივე ლიტველი საკუთარ საჯარიმოში გაუვალ კედლად ჩადგა და იკერ კასილიასის შეწუხება კონტრშეტევებისთვის გადადეს. თამაშის ასეთი სტილიდან გამომდინარე, „ჟალგირისზე" შეკრებილ ექვსი ათას გულშემატკივარს საგოლე მომენტები ბევრი არ უნახავს — პირველ ტაიმში ალგიმანტას ლიუბლინსკასის შეგირდებმა მეტოქის კართან ორიოდ დასამახსოვრებელი ვიზიტით ვერ იხეირეს (მე-12 წუთზე ჯიაუკშტასის თავურს კასილიასი დაუდგა, 30-ზე ჩესნაუსკისის საფრთხე კარლეს პუიოლმა უკუაგდო), ხოლო ესპანეთს ამაზე მწირი ბედი ერგო — შესვენებამდე მცირე ხნით ადრე, ლუკემ ბალტიისპირელთა მეკარე ააფორიაქა, მაგრამ გოლის გატანა მაინც ვერ მოახერხა.



ლიტვა — ესპანეთი. მიჩელ სალგადო (№2) და სტუმრები მასპინძლებმა მაგრად გააწვალეს

